პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის _ _ მაისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-ს ანგარიში 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-ს“ ანგარიში 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-ს მიერ 2025 წლის III-IVკვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი
"წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე
განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი"

წერილის ნომერი: **34-482612646**
თარიღი: **06/05/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მ/შ

ბატონ კობა გურეშიძეს

ბატონო კობა,

გიგზავნით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი"-ს 2025 წლის მე-3 და მე-4 კვარტლის ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ

იხილეთ დანართი

ლევან ნემსაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე
განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი-მმართველი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

Levan
Nemsadze
53001000421

Digitally signed by
Levan Nemsadze
Date: 2026.05.06
11:55:28

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მიერ 2025 წლის მესამე-მეოთხე კვარტალში გაწეული მუშაობის

ანგარიში

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“ ფუნქციონირებს 2025 წლის 14 მარტიდან. სამსახურის საშტატო განრიგი განისაზღვრება 129 თანამშრომლით. მათ შორის ადმინისტრაცია -17 შტატით, გარე-განათების მართვის სერვისი - 17 შტატით, გამწვანება-განაშენიანების მართვის სერვისი 78 შტატით და წყალარინების სისტემისა და სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის სერვისი - 17 შტატით.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“ მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიებისა და დასახლებების გამწვანება-განაშენიანებას, იცავს ხე-ნარგავებს მოხეტიალე პირუტყვისაგან. ახორციელებს მუნიციპალურ საკუთრებაში მოქცეული კომუნალური და კეთილმოწყობითი კომუნიკაციების მართვა-მოწესრიგებას, ცივი ტბის და მისგან მომდინარე არხების მოვლა–პატრონობას, სანიაღვრე არხების, გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და სხვადასხვა კეთილმოწყობით სამუშაოებს.

2025 წლის მესამე-მეოთხე კვარტლის განმავლობაში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ მიერ შესრულებულია შემდეგი სახის სამუშაოები:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიჭრა გამხმარი, ფაუტიანი და ავარიული ხეები. კოპიტნარის დასახლებაში დაქირავებული ამწე-კრანისა და ამწე-კალათის საშუალებით გადაიბელა ალვის ჯიშის ხეები, ასევე დაქირავებული ამწე-კრანისა და ამწე-კალათის საშუალებით მოიჭრა ხეები ქალაქში სხვადასხვა ლოკაციაზე და სოფელ ჟონეთის სასაფლაოზე, ხოლო მიღებული საშეშე მერქანი მერიიდან შემოსული წერილების საფუძველზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

ბენზოცელების, სათიბი ტრაქტორებისა და ბალახის სათიბი მანქანების საშუალებით სისტემატურად იცელებოდა ქალაქის ქუჩები, სკვერები, კუნძულები, ცენტრალური პარკი, საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების ეზოები და მიმდებარე ტერიტორიები.

ქალაქისა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე დაირგო სხვადასხვა ჯიშის ნერგები და ყვავილები. რუსთაველის ქუჩაზე არსებულ კუნძულებზე გამხმარი სმარაგდა ნაძვები შეიცვალა ახალი ნარგავებით.

ქალაქის მთელ ტერიტორიაზე შეტანილი იქნა სასუქი და შემოიბარა ხე-

ნარგავები და დეკორატიული მცენარეები. ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე გაისხვლა და გასუფთავდა ყვავილები, ხე-ნარგავები და დეკორატიული ბუჩქები.

პარკის მთელ ტერიტორიაზე ახალ ხე-ნარგავებს შეეცვალა ბიჯგები და შეიკრა ბაწრის საშუალებით

ჩვენს მიერ შეკეთდა და შეიღება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერებში და ცენტრალურ პარკში არსებული ძელსკამები.

ნოემბერში ქალაქის ტერიტორიაზე დაირგო 100 ძირი სმარაგდა და 55 ძირი ფოტინია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მერიისაგან მითითებულ ქუჩებში დაიგო სიჩქარის შემზღუდველი გორაკები.

ცენტრის ბალანსზე რიცხული სპეც. ტექნიკის საშუალებით ხორციელდება სტიქიურად შექმნილი ნაგავსაყრელების აღება.

საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით გაიწმინდა და დეკორატიული ღორღით დაიფარა საახალწლო ნაძვის ხის დადგმის ლოკაციები.

ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხორციელდება შემოვლითი სამუშაოები მოხეტიალე პირუტყვის აღკვეთის მიზნით. უმეთვალყუროდ მიტოვებული პირუტყვების მეპატრონეებს დაეკისრათ საჯარიმო სანქციები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: კერძოდ, ქალაქის ტერიტორიაზე კეცხოველის, ევდოშვილის, ფარნავაზ მეფის, მესხისა და დუმბაძის ქუჩებში შეიცვალა ლამპიონები. 9 აპრილისა და ტაბიძის ქუჩებში ახლებით შეიცვალა 100 ვატიანი სანათები. ცენტრალური პარკისა და რუსთაველისა ქუჩაზე შეიცვალა არსებული დაზიანებული დროსელზე მომუშავე სოდიუმის 150 ვატიანი ნათურები.

ქალაქის ტერიტორიაზე შეიცვალა დაზიანებული გარე განათების ბოძები, ელექტრო სადენები და კრონშტეინები. მკვებავ კარადებში შეიცვალა დაზიანებული ელექტრო მოწყობილობები (ელექტრო ამომრთველები, იგნიტორები, ელექტრომაგნიტური გამშვებები და ფოტორელეები).

ცენტრალური პარკისა და რუსთაველის შეიცვალა დროსელზე მომუშავე მათურები სოდიუმის 150 ვტ-იანი ნათურებით. იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟდა ორი ახალი განათების ბოძი.

თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე აღსდგა დაზიანებული მიწისქვეშა მკვებავი კაბელი და გარე განათება.

აღდგენილი იქნა დეკორაციული განათება თბილისის ქუჩისა და დედა ენის ქუჩის კვეთაზე არსებულ სკვერში და ჭავჭავაძის ქუჩაზე ბანკ „რიკოს“ წინ არსებულ სკვერში. მესამე საჯარო სკოლასთან და თამარ მეფის ქუჩაზე არსებულ სკვერებში მოხდა გარე განათების რეაბილიტაცია.

სოფლებში (გუმბრა, ბანოჯა, ხომული, გუმბრინი, ცხუნკური, ყუმისთავი, ქვილიშორი, წყალტუბო, გუბისწყალი, ქვილიშორი, ცხუნკური, ჩუნეში) შეიცვალა დაზიანებული ეკოლამპიონები და ეკონათურები. შეიცვალა, ასევე, კარადები, ელექტრო სადენები და ელექტრო მოწყობილობები.

სოფელ ხომულში გაკეთდა ახალი ხაზი თავისი ლამპიონებითა და ეკო ნათურებით.

სოფლებში (მუხიანი, საყულია, ოფშკვითი) აბსოლუტურად ყველა ჩიხში ახლებით შეიცვალა ეკოლამპიონები.

სოფლებში (მაღლაკი, ფარცხანაყანევი, ქვიტირი, გეგუთი, ბროწეულა, პატრიკეთი, მესხეთი) შეიცვალა დაზიანებული ეკო ლამპიონები, ნათურები, ელექტრო სადენები და ელექტრო მოწყობილობები.

სოფლებში (გუმათი, ოფურჩხეთი, ჟონეთი, ნამოხვანი, რიონი, სორმონი, ზარათი, მოლეკურა, მექვენა, დერჩი, დღნორისა, ჭაშლეთი, ლეხინდრისთავი, საჩხეურა) შეიცვალა დაზიანებული ეკოლამპიონები და ეკონათურები. შეიცვალა, ასევე, კარადები, ელექტრო სადენები და ელექტრო მოწყობილობები.

დაქირავებული ავტო-კრანის საშუალებით შესწორდა წამოქცეული გარე განათების ბოძები.

მკვებავ კარადებში შეიცვალა დაზიანებული ელექტრო მოწყობილობები (ელექტრო ამომრთველები, იგნიტორები, ელექტრომაგნიტური გამშვებები და ფოტორელეები).

ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე (მარჯანიშვილის მოედანზე, აფხაზეთის, კეცხოველის, 9 აპრილის, თამარ მეფის ქუჩებზე, ცივი ტბის და რკინიგზის სადგურის წინამდებარე ტერიტორიებზე დაიდგა და დეკორატიულად განათდა საახალწლო ნაძვის ხეები. ქალაქის ცენტრალური პარკის შესასვლელში დაიდგა და აინთო მთავარი საახალწლო ნაძვის ხე.

თეატრ ივერიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიწყო სცენა საახალწლო ღონისძიებებისათვის, დაიდგა საახალწლო ნაძვის ხე, მოეწყო საახალწლო კოტეჯები, დაიდგა და განათდა დეკორაციული ფიგურები.

საახალწლოდ განათდა მერისა და საკრებულოს წინ მდებარე ტერიტორიები.

ქალაქში რუსთაველის, ტაბიძის და ჭავჭავაძის ქუჩები გაფორმდა საახალწლო დეკორაციული განათებებით.

მერიისა და მუზეუმის დამაკავშირებელი ხეივანი განათდა დეკორატიული ბურთებით.

პერიოდულად იწმინდება სანიაღვრე არხები ქალაქის ქუჩებისა და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე. ნოემბრის თვეში გადაუღებელი წვიმების დროს ჩვენმა სამსახურმა ოპერატიულად მოახდინა სანიაღვრე არხების ცხაურების გაწმენდა, რამაც საშუალება მისცა მოვარდნილ ნაკადს მეტი გადინების საშუალება ჰქონოდა, რის შედეგადაც ქალაქის რიგი ტერიტორიები დატბორვას გადაურჩა.

პეროდულად იწმინდება ქალაქის ცენტრალურ პარკში და რკინიგზის სადგურის წინ მდებარე ფანტანები.

შეკეთდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასმელი წყლების მილები სოფელ ქვილიშორის, სოფელ ჩუნეშის, სოფელ ხომულისა და სპა რესორტის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ქალაქის ტერიტორიაზე, სოფელ მაღლაკში და სოფელ ფარცხანაყანევში გრეიდერის საშუალებით ჩატარდა გზის პროფილების აღდგენითი სამუშაოები.

სხვადასხვა სახის სამუშაოები განხორციელდა ბულდოზერის საშუალებით სოფელ ჩუნეშის, სოფელ გუმბრის, სოფელ ხომულის, სოფელ ბანოჯის, სოფელ გუბისწყლის, სოფელ გვიშტიბის, სოფელ ფარცხანაყანევის, სოფელ მაღლაკისა და ქალაქის ტერიტორიებზე ჭავჭავაძის, პუშკინის, კეცხოველის, წითლანაძის, ტაბიძისა და ბესიკის ქუჩებზე. დიდთოვლობის დროს თოვლის საფარისაგან გაიწმინდა ქუჩები.

ცენტრის ბალანსზე რიცხული სპეც. ტექნიკის საშუალებით განხორციელდა სტიქიის შედეგად ჩამოტეხილი ტოტების ქალაქის ქუჩებისა და ცენტრალური პარკის ტერიტორიიდან გატანა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ლოკაციაზე მოწესრიგდა და შეკეთდა დასასვენებელი მოედნები, მათთან მისასვლელი გზები და სკვერებში სავალი ბილიკები.

ა(ა)იპ ''წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი''-ს 2025 წლის მესამე მეოთხე კვარტლის მისაღები სუბსიდია გეგმით განისაზღვრა 1500533 ლარი, დაზუსტებული 1588532 ლარი, მიღებული არის 1588532 ლარი. ხარჯები გეგმით განისაზღვრა 1500530 ლარი, დაზუსტებული 1588532 ლარი, გახარჯული არის 1588532 ლარი.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და

კეთილმოწყობის ცენტრის“ მმართველი /ლევან ნემსაძე/

421283113